საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.03.2018

საჩივრის რეგისტრაციის №030/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. გ.-ს მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. გ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2018 წლის 29 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. შ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა 2018 წლის 24 აპრილს წერილობითი ფორმით, 2018 წლის 17 მაისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, 2018 წლის 13 სექტემბერს დამატებით წარმოადგინა პოზიცია, ასევე მონაწილეობდა 2019 წლის 14 მაისს საქმის ზეპირ განხილვაში.

1.2 მომჩივანის განმარტებით, სოფელ ნასაკირალის საშუალო სკოლის დირექტორი სკოლაში არსებული დარღვევების გამო, მისი განცხადების საფუძველზე, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა. აღნიშნული ფაქტის გასაპროტესტებლად სკოლის მოსწავლეებმა და

მასწავლებლებმა 2015 წლის 01 ოქტომბერს გამართეს აქცია. მომჩივანის თქმით, ის და მისი ძმა, რომლებიც ამ აქციაზე იმყოფებოდნენ, დააკავეს ხულიგნობის ბრალდებით. კერძოდ იმ მოტივით, თითქოს ფიზიკურად გაუსწორდნენ არასრულწლოვნებს. საჩივრის ავტორის განმარტებით, რეალურად მოცემულ აქციაზე მან და მისმა ძმამ - გ. შ.-მ, მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიიღეს. მისივე განმარტებით, აქციის მონაწილეებმა დააზიანეს გ. შ.-ს ავტომობილიც. მომჩივანის განცხადებით, ამავე დღეს მისი ძმიშვილი, ზ. შ., შეხვდა ადვოკატ მ. გ.-ს, რადგან მას უნდა დაეცვა დაკავებულების: ა. შ.-სა და მისი ძმის - გ. შ.-ს ინტერესები სისხლის სამართლის საქმეში. ამ შეხვედრის შემდეგ ადვოკატმა ა. და გ. შ.-ები მოინახულა. ადვოკატმა საჩივრის ავტორსა და მის ძმას განუმარტა, რომ მათ ინტერესებს მაქსიმალურად დაიცავდა, გამოკითხა საქმის დეტალები და მომსახურების სახით შეთანხმდნენ გამოძიების ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში თითეული ბრალდებულის დაცვაზე - 500 ლარის ფარგლებში. მომსახურების საზღაური - 1000 ლარი ზ. შ.-მ ადვოკატს შეთანხმების დღესვე გადასცა უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

1.3 ა. შ.-ს განმარტებით, 2015 წლის 01 ოქტომბერს აქციაზე ის და მისი ოჯახის წევრები სასიკვდილოდ სცემეს, რასთან დაკავშირებითაც არსებობს ექსპერტიზის დასკვნა. მომჩივანის თქმით, იგი სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს ქუთაისის ცენტრალურ საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარეს გამოკვლევები და დადგინდა, რომ ჰქონდა ცხვირის ძვლის მოტეხილობა, წელს ქვემოთ პარალიზებული იყო, მის ძმას კი ექსპერტმა კბილების მოტეხილობა დაუდგინა. ა. შ.-ს ფიზიკური დაზიანებები თვალსაჩინო იყო და ადვოკატმა პირველივე შეხვედრისას ურჩია, რომ საავადმყოფოდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან აეღო ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები, რაც დაადასტურებდა მის ფიზიკურ დაზიანებებს, ასევე ჩაეტარებინა ექსპერტიზა. ა. შ.-მ ყველა გამოთხოვილი დოკუმენტი, ექსპერტიზის დასკვნა, ვიდეო მასალა, რომელიც ადასტურებს მისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, გადასცა ადვოკატს. ადვოკატმა დაცვის ქვეშ მყოფ პირებს უთხრა, რომ დოკუმენტაცია გადასცა სამართალდამცავ ორგანოებს. ა. შ. ადვოკატისგან კატეგორიულად ითხოვდა 2015 წლის 01 ოქტომბერს სკოლის ეზოში მომხდარ შემთხვევაზე დაზარალებულად ცნობას და საკუთარი ოჯახის წევრების დაკითხვას, რომელნიც აქციაზე იმყოფებოდნენ, რაც ადვოკატმა ვერ უზრუნველყო და მათ განხილულ სისხლის სამართლის საქმეში მხოლოდ ბრალდებულების სტატუსი ჰქონდათ. საჩივრის ავტორის მტკიცებით, ადვოკატმა კლიენტისგან მიღებული მასალა არც სასამართლოში წარადგინა კლიენტის დასაცავად.

1.4 მომჩივანის განმარტებით, მას და მის ძმას ბრალი ედებოდა გაყალბებული მტკიცებულებების საფუძველზე. მისი თქმით, აქციას აშუქებდა „რუსთავი 2“ და „გურია ნიუსი“, კადრებში ჩანს, რომ პირებს, რომელთა თავდასხმაშიც ადანაშაულებდნენ, დაზიანებები არ აქვთ მიყენებული. მომჩივანის განცხადებით, მოსამართლემ განუმარტა, რომ პროკურორის მიერ ცნობების გაყალბების ფაქტის დასადასტურებლად ადვოკატს საქმეში უნდა მიეთითებინა შესაბამისი მტკიცებულებები, რაც მომჩივანის თქმით, ადვოკატს არ გაუკეთებია.

1.5 ა. შ.-ს განმარტებით, აღკვეთის ღონისძიების სხდომა ჩატარდა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში. მას და მის ძმას 6000-6000 ლარი შეუფარდეს გირაოს სახით. ამ პროცესზე მ. გ. ესწრებოდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხს. ამის შემდეგ ადვოკატი მ. გ. იცავდა ა. და

გ. შ.-ებს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს. განაჩენის სახით სასამართლომ გადააკვალიფიცირა ბრალი სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილები 239-ე მუხლის პირველ ნაწილზე. შედეგად შ.-ებს ჯარიმის სახით 1000 ლარის გადახდა დაეკისრათ. ადვოკატმა კლიენტს ურჩია საქმის აპელაციაში გასაჩივრება. აპელაციის ეტაპზე საქმის განხილვაში მ. გ. იღებდა მონაწილეობას. საჩივრის ავტორის განმარტებით, აპელაციაში დაცვაზე ადვოკატთან შეთანხმება არ დაუდიათ და ამისთვის დამატებითი ჰონორარი არ გადაუხდია.

1.6 ა. შ.-ს განმარტებით, ადვოკატმა განუმარტა, რომ პროკურორთან შეთანხმებული იყო და საქმის განხილვის დაჩქარებისთვის, ასევე იმ პირების დასჯისთვის, ვინც ა. შ.-სა და მის ძმას მიაყენა ფიზიკური დაზიანებები, საჭირო იყო 5000 (ხუთი ათასი) ლარი. საჩივრის ავტორმა ადვოკატს თანხა გადასცა ავტომობილში. ამასთან, საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მისცა გარანტია საქმის 100%–ით წარმატებით დასრულების თაობაზე. ა. შ.-ს თქმით, აღნიშნული თანხა ადვოკატს გადასცა, რადგან სურდა, რომ საქმის განხილვა 2016 წლის აგვისტომდე დასრულებულიყო.

1.7 მომჩივანი აღნიშნავს, რომ ადვოკატს დამატებით 2000 (ორი ათასი) ლარიც გადაუხადა, რადგან ადვოკატმა უთხრა, რომ საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიას უჩერებდნენ და მისი საქმის წარმოებას ვეღარ შეძლებდა. თანხის გადაცემას საჩივრის ავტორი ფარულად იწერდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან თანხა ფაქტიურად სესხის სახით გადასცა ადვოკატს, რადგან ადვოკატმა აიღო ვალდებულება, რომ აღნიშნული თანხა კლიენტისთვის დაებრუნებინა.

1.8 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა ოზურგეთის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში მტკიცებულებები არ წარადგინა სრულყოფილი სახით, მათ შორის ექსპერტიზის დასკვნები, რის გამოც მომჩივანმა ორივე ინსტანციაში წააგო საქმე.

1.9 მომჩივანის განცხადებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან განაჩენის გამოცხადების შემდეგ ოზურგეთში დაბრუნებისას ადვოკატი მ. გ. მას და მის ძმას ლანძღავდა და აგინებდა, ცდილობდა პროვოკაციაზე წამოეგო ისინი. მომჩივანის თქმით, იგი იმავე დღეს საღამოს დაუკავშირდა ადვოკატ მ. გ.-ს, რა დროსაც ადვოკატი კვლავ უხეშად ესაუბრებოდა და მისგან დამატებითი თანხის გადახდას ითხოვდა. მომჩივანი უთითებს, რომ აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ადვოკატსა და მომჩივანს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის აუდიო ჩანაწერი.

1.10 მომჩივანი ადვოკატ მ. გ.-ს მიერ საჩივარზე წარმოდგენილი განმარტებიდან გამომდინარე აღნიშნავს, რომ მ. გ.-მ არ შეასრულა შეთანხმება და რეალურად არ ყოფილა მისი ოჯახის ადვოკატი. იგი არ დასწრებია სხვა არცერთ პროცესს გარდა, მომჩივანისა და მისი ძმის სისხლის სამართლის საქმისა, მათ შორის არც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის განცხადების საფუძველზე დაწყებულ წარმოებას ა. შ.-ს მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე. ამ საქმეზე ა. შ.-ს შვილების დასაცავად ადვოკატს აღებული ჰქონდა 300 ლარი, ინტერვიუც მისცა რუსთავი 2-ს, როგორც ა. შ.-ს ოჯახის ადვოკატმა, თუმცა შემდეგ უარი განაცხადა საქმის წარმოებაზე იმ საფუძვლით, რომ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე არ მუშაობდა.

1.11 მომჩივანის განცხადებით, 2016 წლის აპრილიდან მისი შვილები სკოლაში არ დადიან, რადგან მათ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ. აღნიშნულ საქმეში ჩაერთო სახალხო დამცველი და ოზურგეთის სოციალური მუშაკები, რომლებიც 2016 წლის 08 ივნისს მომჩივანის სახლში

იმყოფებოდნენ. მომჩივანის თქმით, როდესაც მისი შვილები სკოლაში არსებულ პრობლემებზე ესაუბრებოდნენ იურისტ ი. კ.-ს, მან უთხრა, რომ თავადაც ჩხუბობდა სკოლაში და „შატალოზე" წასვლაზე უარის თქმის გამო კლასელი გარკვეული სიმაღლიდანაც გადმოაგდო. მომჩივანის განმარტებით, მას არ სურდა, რომ იურისტს ბავშვებისთვის მსგავსი რამ ეთქვა, ამის გამო კი ი. კ.-მ შვილებისა და მეუღლის თანდასწრებით ხელი გაარტყა. მომჩივანის განცხადებით, მას იურისტის წინააღმდეგ საჩივარი არ შეუტანია, თუმცა თავად ი. კ.-მ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მიმართა იმ მოტივით, რომ მომჩივანი ბავშვებს სახლიდან არ უშვებდა. მომჩივანის თქმით, იგი მოძალადედ სცნეს და დამცავი ორდერის საფუძველზე სახლში შესვლა 3 თვის ვადით აუკრძალეს. მან აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც მის ინტერესებს ადვოკატი მ. გ. იცავდა, რისთვისაც ჰონორარის სახით 50 ლარი გადაუხადა. მომჩივანის განცხადებით, ადვოკატმა მის შვილებს დაშინებით აიძულა არაფერი ეთქვათ იმის თაობაზე, რომ იურისტმა ი. კ. მას ხელი დაარტყა, წინააღმდეგ შემთხვევაში მომჩივანს დაიჭერდნენ.

1.12 მომჩივანის განმარტებით, მან ი. კ.-ს მიერ შეურაცხყოფის მიყენების ფაქტთან დაკავშირებით დაწერა განცხადება, რის გამოც დაიბარეს ოზურგეთის პროკურატურაში. დაკითხვაზე მისვლამდე დაუკავშირდა ადვოკატ მ. გ.-ს, რომელმაც უთხრა, რომ აღნიშნული საქმე იყო დამოუკიდებელი სამოქალაქო საქმე და ცალკე ადვოკატი დაჭირდებოდა. ამის შემდგომ ადვოკატმა გამომძიებელს წარუდგინა მომჩივანის სახელზე გამოწერილი ორდერი და დაესწრო დაკითხვას. მომჩივანის თქმით, დაკითხვა ეხებოდა შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, ასევე მრავალშვილიანობის თანხას 100 (ასი) ლარის ოდენობით, რომელსაც, მომჩივანის განმარტებით, დღემდე ვერ იღებს. მომჩივანი აღნიშნავს, რომ დაკითხვის დასრულების შემდგომ მან ადვოკატ მ. გ.-ს გადაუხადა 300 (ლარი) ჰონორარის სახით, რასაც პოლიციაში არსებული კამერების ჩანაწერებიც ადასტურებს. მომჩივანის თქმით, მიუხედავად ადვოკატის მიერ ანაზღაურების მიღებისა, მას არ გამოუძიებია საქმე. ბავშვების საქმესთან დაკავშირებით ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში სასამართლო პროცესები ჩატარდა 24.11.2017, 14.02.2018, 15.02.2018, 23.03.2018, 23.03.2018 რიცხვებში, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში – 21.05.2018. სასამართლო სხდომის ვიდეო და აუდიო ჩანაწერებით დასტურდება, რომ მ. გ. არცერთ სასამართლო პროცესს არ დასწრებია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 11 მაისს ადვოკატმა მ. გ.-მ წარმოადგინა წერილობითი განმარტება, ადვოკატმა 2018 წლის 23 მაისს სკაიპის მეშვეობით მიიღო სხდომაში მონაწილეობა, ხოლო 2018 წლის 25 ივლისს ადვოკატი მ. გ. პირადად იყო მოწვეული საპროცესო კოლეგიის, განხილვის კოლეგიის სხდომებზე და მიიღო მონაწილეობა საქმის ზეპირ განხილვაში.

2.2 ადვოკატი აცხადებს, რომ მას ა. და გ. შ.-ებისთვის არ მიუცია გარანტია საქმის შედეგთან დაკავშირებით და არც მათ ჰქონიათ პრეტენზიები მის მომსახურებასთან დაკავშირებით, სანამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არ გახდა ცნობილი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი მომჩივანსა და მის ძმას, გ. შ.-ს, გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას სისხლის სამართლის საქმეში. ჰონორარის სახით განისაზღვრა 1000 (ათასი) ლარი, 500-500 (ხუთასი) ლარი თითოეული კლიენტისთვის, აღნიშნულს დაემატებოდა 1000 (ათასი) ლარი ჯილდოს სახით საქმის სასურველი შედეგით დასრულების შემთხვევაში. მომჩივანსა და მის ძმას ბრალი ედებოდათ სსკ–ის 239–ე მუხლის მე–3 ნაწილით, რაც ითვალისწინებს 4 წლიდან 7 წლამდე წლამდე თავისუფლების აღკვეთას. განაჩენის გამოტანისას ბრალი გადაკვალიფიცირდა და მათ მსჯავრი დაედოთ იმავე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახით განესაზღვრათ 1000–1000 ლარი ჯარიმა. აღნიშნული განაჩენი ადვოკატმა გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, თუმცა სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა. ადვოკატის განმარტებით, კლიენტს პრეტენზია გაუჩნდა სასამართლო პროცესების დროში გაჭიანურების გამო, თუმცა სხდომები ობიექტური მიზეზებით იდებოდა, მათ შორის 48 მოწმე დაიკითხა და სხდომა არცერთხელ გადადებულა ადვოკატის მიზეზით.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან რაიონში დაბრუნებისას მომჩივანთან შელაპარაკების მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ძმები სისხლის სამართლის საქმის შედეგთან დაკავშირებით ეკამათებოდნენ, ადვოკატს კი კონფლიქტის თავიდან აცილება სურდა. კლიენტები უკმაყოფილოები იყვნენ ადვოკატის მომსახურებით, რადგან არ დადგა გამამართლებელი განაჩენი. ამის შემდეგ, ადვოკატის განმარტებით, კლიენტებმა დაურეკეს მას მუქარით და მისგან მიღებული თანხის სრულად დაბრუნებას ითხოვდნენ. ადვოკატმა შესთავაზა კლიენტებს, რომ ჩასულიყვნენ მასთან და დეტალურად გაერკვიათ მიღებული თანხა ეკუთვნოდა თუ არა ადვოკატს. აღნიშნულზე მომჩივანმა უარი განაცხადა და ეთიკის კომისიას მიმართა საჩივრით, რასაც ადვოკატი არ ეთანხმება. ამით შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

2.5 ადვოკატმა მ. გ.-მ განმარტა, რომ საჩივრიდან მისთვის ცნობილი გახდა, რომ მასთან შეხვედრებს ან სატელეფონო საუბრებს ფარულად იწერდა ა. შ.. ა. შ. მას არ აფრთხილებდა ხოლმე ჩაწერის თაობაზე.

2.6 ადვოკატის განცხადებით, ა. შ.-მ მას სთხოვა საადვოკატო მომსახურების გაწევა სხვა საქმეებშიც. ადვოკატის თქმით, მან კლიენტს განუმარტა, რომ ისინი შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურებაზე მხოლოდ იმ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე, რისთვისაც გათვალისწინებული იყო ჰონორარი 500-500 ლარი თითოეულ ბრალდებულზე (ჯამში - 1000 ლარი). ადვოკატის განმარტებით, თუ კლიენტებს სურდათ, რომ ადვოკატს მათი ინტერესები სხვა საქმეებზეც დაეცვა, ამაზე ცალკე უნდა შეთანხმებულიყვნენ. ადვოკატი კლიენტს სიტყვიერად შეუთანხმდა 5000 ლარის სანაცვლოდ ეწარმოებინა სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის პარალელურად მისი სხვა სისხლის სამართლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საქმეები, მათ შორის დაეცვა ა. შ.-ს მეუღლის და მისი ძმის ინტერესები. ადვოკატი ადასტურებს რომ საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით მომჩივანისა და მისი ძმისგან საერთო ჯამში მიიღო 5000 (ხუთი ათასი) ლარი, თუმცა განმარტავს, რომ აღნიშნული თანხა მიიღო არა კლიენტებისთვის რაიმე სახის გარანტიების მიცემის სანაცვლოდ, არამედ იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საქმის გარდა ოჯახს სურდა, რომ მ. გ.-ს საადვოკატო მომსახურება გაეწია მათთვის იმ პერიოდში მიმდინარე ყველა სახის დავაზე. ადვოკატის განმარტებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ დავების ამოწურვამდე, ადვოკატი აწარმოებდა სხვა

საქმეებსაც. ამასთან, ადვოკატი განმარტავს, რომ მითითებული შეთანხმებით, ადვოკატი დაიცავდა საჩივრის ავტორის და მისი ოჯახის ინტერესებს მინიმუმ 3 წელი და მისი საადვოკატო მომსახურება უკვე არსებული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრას დაუკავშირდებოდა.

2.7 ადვოკატის თქმით, მას 5 ორდერი აქვს გამოწერილი მომჩივანის სახელზე, ხოლო 2 მისი ძმის, გ. შ.-ს, სახელზე. აქედან: ორი ორდერი ცალ-ცალკე გამოწერა ა. და გ. შ.-ების დასაცავად გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში; მესამე ორდერი გამოწერა ა. შ.-ს დასაცავად, როდესაც ა. შ.-ს წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მიღებული შემაკავებელი ორდერი გაასაჩივრეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში; მეოთხე ორდერი გამოწერა ა. შ.-ს დასაცავად, როდესაც მას სახლში პოლიციამ მიაკითხა შემაკავებელი ორდერის დარღვევის გამო იმ პერიოდში, როცა შემაკავებელი ორდერი გასაჩივრებული ჰქონდათ, მაგრამ ჯერ არ ჰქონდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული; მეხუთე ორდერი გამოწერა ა. შ.-ს დასაცავად, ვინაიდან ა. შ. მიიჩნევდა, რომ 2015 წლის 01 ოქტომბრის აქციის დროს ის და მისი ოჯახი დაზარალდა, მათ მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს და სურდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და დაზარალებულად ცნობა. ადვოკატმა მოაგროვა მასალები და შეიტანა საჩივარი პოლიციაში, გამოკითხეს კიდეც შ.-ები და მიმდინარეობს წარმოება; მეექვსე-მეშვიდე ორდერები ადვოკატმა გამოწერა ა. და გ. შ.-ების დასაცავად ქუთაისის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებისას.

2.8 ადვოკატი მიუთითებს, რომ იგი ა. შ.-ს ოჯახის ადვოკატი დაახლოებით 2 წლის განმავლობაში იყო. მომჩივანს გამუდმებით ექმნებოდა პრობლემები სოციალურ სამსახურთან, განათლების რესურსცენტრთან, პოლიციასთან და ა.შ. და ამ პროცესებში მუდმივად იყო ადვოკატი ჩართული, მათ შორის სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის განცხადების საფუძველზე დაწყებულ სასამართლო წარმოებაში (მოთხოვნა - ა. შ.-ს მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემა) აპელაციის ეტაპზე.ადვოკატი განმარტავს, რომ მას არ მოუთხოვია მომჩივანისგან დამატებით 2000 (ორი ათასი) ლარი. მისი თქმით, სხვა საქმესთან დაკავშირებით ახსენა, რომ თანხა სჭირდებოდა და უნდა ესესხა, რადგანაც საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობის გამო არ დაეჯარიმებინათ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადვოკატის განმარტებით, მომჩივანმა უთხრა, რომ თანხას თავად გადასცემდა საჩუქრად. ადვოკატის თქმით, ის ფიქრობდა, რომ თანხას სესხის სახით მისცემდნენ, თუმცა თანხის გადაცემისას უთხრეს, რომ ისე აძლევდნენ და ადვოკატმა ეს თანხა მიიჩნია საჩუქრად. ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტისგან ეტაპობრივად მიიღო 1000 ლარი, 5000 ლარი და 2000 ლარი, სულ 8 000 ლარი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეზე ა.და გ. შ.-ების დაცვისთვის ადვოკატს ცალკე არ აუღია თანხა, ეს მომსახურება 5000 ლარში შედიოდა. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, 2000 ლარს დაუბრუნებდა უკან კლიენტს, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით კლიენტმა უთხრა თითქოს ეს თანხა მისცა საჩუქრის სახით და აღარ მოსთხოვდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2018 წელის 15 მარტს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე ზუსტად არ მოიცავდა განმარტებას იმისა, თუ რომელ საქმეებზე, რა ფარგლებში უნდა ეწარმოებინა ადვოკატს კლიენტების ინტერესების დაცვა, ასევე დგინდებოდა, რომ 5000 ლარის ფარგლებში შეთანხმებულ მომსახურებაზე ადვოკატმა მ. გ.-მ კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტამდე ვერ დაასრულა კლიენტის მომსახურება და შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გათვალისწინებით, კლიენტს არ დაუბრუნა მისგან მიღებული ფულადი სახსრების გამოუმუშავებელი ნაწილი; ასევე ვინაიდან საქმისწარმოების მოცემულ ეტაპზე დგინდებოდა, რომ კლიენტისგან მიღებული 2000 ლარი არ წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების საზღაურს, ხოლო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ადვოკატმა მოცემული თანხა არ დაუბრუნა კლიენტს, ადვოკატმა სავარაუდოდ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 და მე-15 ნაწილები.

3.2 იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინური საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე დადასტურებოდა, რომ ადვოკატმა მ. გ.-მ წარმომადგენლობის პროცესში ისესხა თანხა კლიენტისაგან და არ დააბრუნა, შესაძლოა ადვოკატის მხრიდან დარღვეულად ჩაითვლილიყო ადვოკატის მიერ საქმის დამოუკიდებლად წარმოების ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2.1.):

3.3 საჩივრის ავტორის პრეტენზიებზე: ადვოკატის მიერ გარანტიის მიცემაზე, არაკვალიფიციურ მომსახურებაზე და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაზე არ აღიძრა დისციპლინური დევნა და ამ ფარგლებში მიუხედევად იმისა, რომ ა. შ.-მ საქმის განხილვის ეტაპზე კიდევ ერთხელ წარმოდგინა იგივე პრეტენზიები განხილვის კოლეგია არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს ადვოკატის იმ ქცევებზე, რა ნაწილშიც დისციპლინური დევნა არ აღძრულა. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ მ. გ.-ს მიერ შესაძლო დარღვევად შეაფასა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2.1, მე-8.8 და 8.15 მუხლები, ხოლო ადვოკატის მხრიდან არ დაადგინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8.3 და მე-8.5 მუხლების დარღვევა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატსა და ზ. შ.-ს შორის 2015 წლის 2 ოქტომბერს დაიდო წერილობითი ხელშეკრულება.

ხელშეკრულებით შეთანხმების საგანს წარმოადგენდა ხულიგნობის ბრალდებით დაკავებული ა. და მ. შ.-ების დაცვა შსს ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში და ყველა ინსტანციის სასამართლოში.

მომსახურების საზღაურად განისაზღვრა 1000 ლარი, რომელიც ადვოკატმა მიიღო. ხელშეკრულების მიხედვით, ცალკე უნდა გადაეხადა მხარეს თანხა სასამართლო და არასასამართლო ხარჯებისთვის.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2015 წლის 2 ოქტომბრის ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ

განხილვის კოლეგიის 2019 წლის 14 მაისის სხდომის ოქმი

საქმის დამთავრების შემდეგ მხარეებმა აიღეს ვალდებულება მხარისთვის სასურველი შედეგის ან მისთვის მისაღები პირობების დადგომის შემთხვევაში ადვოკატისთვის ჯილდოს სახით დამატებით გადაეხადათ 1000 ლარი. გამოძიებისა და პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვის დროს ადვოკატმა კლიენტებს მომსახურება გაუწია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
განხილვის კოლეგიის 2019 წლის 14 მაისის სხდომის ოქმი

მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებაზე და ქუთაისის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ადვოკატი მ. გ. იცავდა ა. შ.-სა და მისი ძმის ინტერესებს.
განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
განხილვის კოლეგიის 2019 წლის 14 მაისის სხდომის ოქმი

ადვოკატ მ. გ.-ს კლიენტისგან მიღებული აქვს მომსახურების საზღაურის სახით 5000 ლარი, ხოლო სესხის სახით 2000 ლარი, რომელიც არ დაუბრუნებია.
განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
განხილვის კოლეგიის 2019 წლის 14 მაისის სხდომის ოქმი

ადვოკატ მ. გ.-ს ხელშეკრულების შეწყვეტისას საადვოკატო ჰონორარის ნაწილი, რომელიც შესრულებული სამუშაოს პროპორციული ოდენობის მიღმა დარჩა, არ დაუბრუნებია კლიენტისათვის.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
განხილვის კოლეგიის 2019 წლის 14 მაისის სხდომის ოქმი

სადავო ფაქტები:

ა. შ.-სა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები აქვთ სისხლის სამართლის საქმის გარდა სხვა საქმეებში საადვოკატო მომსახურების შეთანხმების შინაარსის, ადვოკატისთვის გადახდილი 5000 ლარის მიზნობრიობის ან ადვოკატის მიერ შესრულებული მოქმედებების თაობაზე.

ადვოკატის განმარტებით, ის ა. შ.-ს ზეპირსიტყვიერად შეუთანხმდა სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის პარალელურად 5000 ლარის სანაცვლოდ ეწარმოებინა მისი სხვა სისხლის სამართლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საქმეები, მათ შორის დაეცვა ა. შ.-ს მეუღლის და მისი ძმის ინტერესები. ადვოკატი ადასტურებს რომ საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით მომჩივანისა და მისი ძმისგან საერთო ჯამში მიიღო 5000 (ხუთი ათასი) ლარი და აიღო ვალდებულება ა. შ.-ს ოჯახისთვის საადვოკატო მომსახურება გაეწია იმ პერიოდში მიმდინარე ყველა სახის დავაზე. შეთანხმდნენ ამ დავების ამოწურვამდე ეწარმოებინა ადვოკატს მოცემული საქმეები, სულ მცირე 3 წელი მათი ადვოკატი იქნებოდა და მისი საადვოკატო მომსახურება უკვე არსებული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრას დაუკავშირდებოდა. ადვოკატი მიუთითებს, რომ იგი ა. შ.-ს ოჯახის ადვოკატი დაახლოებით 2 წლის განმავლობაში იყო. მომჩივანს გამუდმებით ექმნებოდა პრობლემები სოციალურ სამსახურთან, განათლების რესურსცენტრთან, პოლიციასთან და ა.შ. და ამ პროცესებში მუდმივად იყო ადვოკატი ჩართული, მათ შორის სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის განცხადების საფუძველზე დაწყებულ სასამართლო წარმოებაში (მოთხოვნა - ა. შ.-ს მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემა) აპელაციის ეტაპზე.

ა. შ. არ ეთანხმება ადვოკატის პოზიციას და უარყოფს, რომ მ. გ. იყო მისი ოჯახის ადვოკატი. ა. შ.-ს განმარტებით, მან ადვოკატს 5000 ლარი გადაუხადა სისხლის სამართლის საქმის განხილვის დაჩქარებისთვის, ასევე იმ პირების დასჯისთვის, ვინც ა. შ.-სა და მის ძმას მიაყენეს ფიზიკური დაზიანებები და არა სხვა საქმეთა წარმოებისთვის. სხვა საქმეების წარმოებისთვის მცირე ოდენობის თანხებს უხდიდა ადვოკატს.

კოლეგია განმარტავს, რომ იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, თუ რა წარმოადგენდა მხარეთა შორის მომსახურების საგანს და მომსახურების სრულად შესრულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. მხარეთა განმარტებებიდან გამომდინარე კოლეგიას შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ა. შ.-სა და ადვოკატ მ. გ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს ადვოკატს კლიენტის მიმართ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად შესრულებული არ ჰქონდა იმ მიზეზით, რომ იმ დავათა ნაწილი, რაზეც ადვოკატი მ. გ. უწევდა ა. შ.-ს მომსახურებას მიმდინარე იყო. ადვოკატ მ. გ.-ს კომისიისათვის არ წარმოუდგენია სარწმუნო მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მას სრულად აქვს შესრულებული შეთანხმებით აღებული ვალდებულებები. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ მ. გ.-ს ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას სრულად არ აქვს შესრულებული შეთანხმებული მომსახურება.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ შეისწავლა დისციპლინური საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და თვლის, რომ სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა, რომ ადვოკატ მ. გ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, ასევე, კლიენტისთვის მიყენებული ზიანი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ვინაიდან საქმისწარმოების მოცემულ ეტაპზე დგინდება, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე ზუსტად არ მოიცავდა განმარტებას იმისა, თუ რომელ საქმეებზე, რა ფარგლებში უნდა ეწარმოებინა ადვოკატს კლიენტების ინტერესების დაცვა, ასევე დგინდება, რომ 5000 ლარის ფარგლებში შეთანხმებულ მომსახურებაზე ადვოკატმა მ. გ.-მ კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტამდე ვერ დაასრულა კლიენტის მომსახურება და შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გათვალისწინებით, კლიენტს არ დაუბრუნა მისგან მიღებული ფულადი სახსრების გამოუმუშავებელი ნაწილი; ასევე ვინაიდან საქმისწარმოების მოცემულ ეტაპზე დგინდება, რომ კლიენტისგან მიღებული 2000 ლარი არ წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების საზღაურს, ხოლო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ადვოკატმა მოცემული თანხა არ დაუბრუნა კლიენტს, ადვოკატმა სავარაუდოდ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 და მე-15 ნაწილები:

> ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8).
>
> კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.2 ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი მოიცავს ინფორმაციას არა მხოლოდ მთლიანი ჰონორარის ოდენობის შესახებ, არამედ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მოქმედებების განხორციელებისათვის ითხოვს ადვოკატი ამ თანხას. კერძოდ, რომელი საქმის წარმოებისათვის და რა ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია არ იქნება კლიენტისათვის წინასწარ ცნობილი, მაშინ მისი ინფორმირებული თანხმობა არ გვექნება სახეზე და შესაბამისად დაირღვევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8.8 მუხლით დადგენილი დანაწესი. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.8 მუხლი შეიცვალა 2012 წელს, რის შემდეგაც ჰონორარის გონივრულობაზე ეთიკის კომისია აღარ მსჯელობს. თუმცა ჰონორარის გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირებულობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მუხლის ცვლილების მიუხედავად, ეს ჩანაწერი დარჩა და კვლავ მოიაზრება, როგორც ადვოკატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთიკური ვალდებულება. შესაბამისად, საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად იყო კლიენტი წინასწარ ინფორმირებული ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესის შესახებ და

კლიენტმა რამდენად გამოხატა აღნიშნულზე თანხმობა, კვლავ ეთიკის კომისიის განხილვის საგანს წარმოადგენს.

6.3 ეთიკის კომისიამ 2017 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №032/17 განმარტა, რომ ,,ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა, კლიენტს მისთვის გასაგები ფორმით წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია ჰონორარის ოდენობასა და გამოთვლის წესზე, ასევე საქმისწარმოების მოსალოდნელ ხარჯებზე.“

6.4 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალიწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერი თანხის ოდენობის დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა (იხ. ეთიკის კომისიის წევრის განსხვავებული მოსაზრება, საქმეზე #057/17, ასევე, იხ. ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #098/17). ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა ზუსტად განსაზღვროს რა ოდენობა იქნება პროპორციული და რომელიმე მხარის მიერ სამართლებრივი მომსახურების ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს აღნიშნული თანხა კლიენტს სხვა ფულად სახსრებთან და საქმის მასალებთან ერთად.

6.5 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N037/14 დაადგინა: „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.“

6.6 ადვოკატ მ. გ.-სა და ზ. შ.-ს შორის არსებული შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე ზუსტად არ მოიცავდა განმარტებას იმისა, თუ რომელ საქმეებზე და რა ფარგლებში უნდა ეწარმოებინა ადვოკატს კლიენტების ინტერესების დაცვა. კლიენტებისათვის გაუგებარი იყო თუ რას მოიცავდა საადვოკატო მომსახურება, რისთვისაც მათ გადასცეს ადვოკატს ჰონორარი 5000 ლარის ოდენობით.

6.7 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ იმის გასარკვევად ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს ადვოკატ მ. გ.-ს რამდენად წარმოეშვა მიღებული თანხიდან ნაწილის კლიენტისთვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება, დასადგენია სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევის გარდა ზეპირსიტყვიერად რაზე შეთანხმდნენ მხარეები და ადვოკატმა მიღებული თანხის ფარგლებში სრულად შეასრულა თუ არა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები. მხარეთა ახსნა-განმარტებებით და საქმის მასალებით დგინდება, რომ 2015 წლის 02 ოქტომბერს წერილობითი ხელშეკრულება დაიდო ადვოკატსა და ზ. შ.-ს შორის. ხელშეკრულებით შეთანხმების საგანს წარმოადგენდა ხულიგნობის ბრალდებით დაკავებული ა. და მ. შ.-ების დაცვა შსს ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში და ყველა ინსტანციის სასამართლოში. მომსახურების საზღაურად განისაზღვრა 1000 ლარი, რომელიც ადვოკატმა მიიღო. ხელშეკრულების მიხედვით, ცალკე უნდა გადაეხადა მხარეს თანხა სასამართლო და არასასამართლო ხარჯებისთვის. საქმის დამთავრების შემდეგ მხარეებმა აიღეს ვალდებულება მხარისთვის სასურველი შედეგის ან მისთვის მისაღები პირობების დადგომის შემთხვევაში ადვოკატისთვის ჯილდოს სახით დამატებით გადაეხადათ 1000 ლარი. გამოძიებისა და პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვის დროს ადვოკატმა კლიენტებს მომსახურება გაუწია, რაც დგინდება ორივე მხარის ახსნა-განმარტებით; მხარეები ამის შემდეგ ზეპირად შეთანხმდნენ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებაზე და ქუთაისის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ადვოკატი მ. გ. იცავდა ა. შ.-სა და მისი ძმის ინტერესებს. ა. შ.-სა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები აქვთ სისხლის სამართლის საქმის გარდა სხვა საქმეებში საადვოკატო მომსახურების შეთანხმების შინაარსის, ადვოკატისთვის გადახდილი 5000 ლარის მიზნობრიობის ან ადვოკატის მიერ შესრულებული მოქმედებების თაობაზე.

6.8 დისციპლინურ საქმეში ადვოკატ მ. გ.-ს მიერ წარმოდგენილი ორდერებით დგინდება ადვოკატის მიერ შემდეგი ვალდებულებების აღება და შესრულება: 02.10.2015 - გ. შ.-ს დაცვა ადმინისტრაციულ და საგამოძიებო ორგანოებში, პენიტენციურ დაწესებულებებში და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულებამდე; (მხარეთა ახსნა-განმარტებით, ადვოკატმა მომსახურება შეასრულა ამ ნაწილში) 02.10.2015 - ა. შ.-ს დაცვა ადმინისტრაციულ და საგამოძიებო ორგანოებში, პენიტენციურ დაწესებულებებში და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულებამდე; (მხარეთა ახსნა-განმარტებით, ადვოკატმა მომსახურება შეასრულა ამ ნაწილში) 28.07.2016 - ა. შ.-ს დაცვა ადმინისტრაციულ და საგამოძიებო ორგანოებში, პენიტენციურ დაწესებულებებში და ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულებამდე; (მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოცემული ორდერის საფუძველზე გასაჩივრდა ა. შ.-ს წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მიღებული შემაკავებელი ორდერი გაასაჩივრეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში); 29.07.2016 - ა. შ.-ს დაცვა ადმინისტრაციულ და საგამოძიებო ორგანოებში, პენიტენციურ დაწესებულებებში და

ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულებამდე; (ადვოკატის განმარტებით, მოცემული ორდერის საფუძველზე დაიცვა ა. შ., როდესაც მას სახლში პოლიციამ მიაკითხა შემაკავებელი ორდერის დარღვევის გამო იმ პერიოდში, როცა ორდერი გასაჩივრებული ჰქონდათ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ არ იყო მიღებული და ადვოკატი ამ ნაწილშიც მოემსახურა კლიენტს); 25.01.2017 - ა. შ.-ს დაცვა ადმინისტრაციულ და საგამოძიებო ორგანოებში, პენიტენციურ დაწესებულებებში და ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულებამდე; (ადვოკატის განმარტებით, მოცემული ორდერი გამოწერა ა. შ.-ს დასაცავად, ვინაიდან ა. შ. მიიჩნევდა, რომ 2015 წლის 01 ოქტომბრის აქციის დროს ის და მისი ოჯახი დაზარალდა, მათ მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს და სურდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და დაზარალებულად ცნობა. ადვოკატმა მოაგროვა მასალები და შეიტანა საჩივარი პოლიციაში, გამოკითხეს შ.-ები და მიმდინარეობს წარმოება); 19.12.2017 - გ. შ.-ს დაცვა ადმინისტრაციულ და საგამოძიებო ორგანოებში, პენიტენციურ დაწესებულებებში და ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულებამდე; (მხარეთა ახსნა-განმარტებით, ადვოკატმა მომსახურება შეასრულა ამ ნაწილში); 19.12.2017 - ა. შ.-ს დაცვა ადმინისტრაციულ და საგამოძიებო ორგანოებში, პენიტენციურ დაწესებულებებში და ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულებამდე (მხარეთა ახსნა-განმარტებით, ადვოკატმა მომსახურება შეასრულა ამ ნაწილში).

6.9 ა. შ. ადასტურებს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მომსახურების გარდა ადვოკატი მ. გ. დაესწრო მისი, როგორც დაზარალებულის გამოკითხვას პოლიციაში, კერძოდ ა. შ.-მ უჩივლა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის თანამშრომელს მისთვის ფიზიკური დაზიანების მიყენების გამო. ამაზე გამოწერა ადვოკატმა ორდერი. ამ საქმეზე გამოძიება დღემდე მიმდინარეობს, არ დასრულებულა წარმოება; ადვოკატი იცავდა ა. შ.-ს ადმინისტრაციულ დავაზე ქუთაისის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, როდესაც ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი მოძალადედ სცნეს და დამცავი ორდერის საფუძველზე სახლში შესვლა 3 თვის ვადით აუკრძალეს; რისთვისაც ადვოკატს 50 ლარი გადასცა.

6.10 მხარეთა შორის სადავო ფაქტია ადვოკატ მ. გ.-ს მიერ მიღებული 5000 ლარის მიზნობრიობა. ადვოკატის განმარტებით, ის ა. შ.-ს ზეპირსიტყვიერად შეუთანხმდა სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის პარალელურად 5000 ლარის სანაცვლოდ ეწარმოებინა მისი სხვა სისხლის სამართლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საქმეები, მათ შორის დაეცვა ა. შ.-ს მეუღლის და მისი ძმის ინტერესები. ადვოკატი ადასტურებს რომ საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით მომჩივანისა და მისი ძმისგან საერთო ჯამში მიიღო 5000 (ხუთი ათასი) ლარი და აიღო ვალდებულება ა. შ.-ს ოჯახისთვის საადვოკატო მომსახურება გაეწია იმ პერიოდში მიმდინარე ყველა სახის დავაზე. შეთანხმდნენ ამ დავების ამოწურვამდე ეწარმოებინა ადვოკატს მოცემული საქმეები, სულ მცირე 3 წელი მათი ადვოკატი იქნებოდა და მისი საადვოკატო მომსახურება უკვე არსებული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრას დაუკავშირდებოდა. ადვოკატი მიუთითებს, რომ იგი ა. შ.-ს ოჯახის ადვოკატი დაახლოებით 2 წლის განმავლობაში იყო. მომჩივანს გამუდმებით ექმნებოდა პრობლემები სოციალურ სამსახურთან, განათლების რესურსცენტრთან, პოლიციასთან და ა.შ. და ამ პროცესებში მუდმივად იყო ადვოკატი ჩართული, მათ შორის სოციალური მომსახურების სააგენტოს

გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის განცხადების საფუძველზე დაწყებულ სასამართლო წარმოებაში (მოთხოვნა - ა. შ.-ს მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემა) აპელაციის ეტაპზე.

6.11 ა. შ. არ ეთანხმება ადვოკატის პოზიციას და უარყოფს, რომ მ. გ. იყო მისი ოჯახის ადვოკატი. ა. შ.-ს განმარტებით, მან ადვოკატს 5000 ლარი გადაუხადა სისხლის სამართლის საქმის განხილვის დაჩქარებისთვის, ასევე იმ პირების დასჯისთვის, ვინც ა. შ.-სა და მის ძმას მიაყენეს ფიზიკური დაზიანებები და არა სხვა საქმეთა წარმოებისთვის. სხვა საქმეების წარმოებისთვის მცირე ოდენობის თანხებს უხდიდა ადვოკატს.

6.12 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ მხარეთა რამდენიმე ზეპირისიტყვიერი შეთანხმებიდან გამომდინარე საქმის საპროცესო წესით გამოკვლევის ეტაპზე დადგენილი ფაქტებით კოლეგიას შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ა. შ.-სა და ადვოკატ მ. გ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს ადვოკატს კლიენტის მიმართ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად შესრულებული არ ჰქონდა იმ მიზეზით, რომ იმ დავათა ნაწილი, რაზეც ადვოკატი მ. გ. უწევდა ა. შ.-ს მომსახურებას მიმდინარე იყო. ადვოკატმა კლიენტის მომსახურება ვეღარ გააგრძელა კლიენტის უკმაყოფილებით გამოწვეული კონფლიქტის გამო. შესაბამისად, კოლეგიის შეფასებით, ვინაიდან საქმისწარმოების მოცემულ ეტაპზე დგინდება, რომ 5000 ლარის ფარგლებში შეთანხმებულ მომსახურებაზე ადვოკატმა მ. გ.-მ კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტამდე დაასრულა კლიენტის მომსახურება და შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გათვალისწინებით, კლიენტს არ დაუბრუნა მისგან მიღებული ფულადი სახსრების ნაწილი; ადვოკატის მიერ სავარაუდოდ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი. კოლეგია ხაზს უსვამს, რომ ადვოკატ მ. გ.-ს უფლებამოსილებაა თავად შეაფასოს რა მომსახურება რა თანხის სანაცვლოდ შეასრულა და კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ სამართლიანად გამოიანგარიშოს მის მიერ გამომუშავებული საზღაური, მიღებული თანხიდან გამოქვითოს ხარჯი, გაწეული საადვოკატო მომსახურების პროპორციული თანხა და საზღაურის დარჩენილი ნაწილი დაუბრუნოს კლიენტს, ვინაიდან მან კლიენტის ნების შესაბამისად ვეღარ შეძლო შეთანხმების ფარგლებში მისი წარმომადგენლობა.

6.13 ვინაიდან საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე დადასტურდა, რომ ადვოკატმა მ. გ.-მ წარმომადგენლობის პროცესში ისესხა თანხა კლიენტისაგან და არ დააბრუნა, ადვოკატმა დაარღვია ადვოკატის მიერ საქმის დამოუკიდებლად წარმოების ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2.1.):

> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს“.

6.14 ადვოკატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს დამოუკიდებლობის შენარჩუნება საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას. დამოუკიდებლობა არა მხოლოდ მესამე მხარის მიერ ზეწოლის ან გავლენისაგან თავისუფალ მოქმედებას გულისხმობს, არამედ ასევე, საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების შეზღუდვასაც მოიცავს. შესაბამისად, მაშინ, როდესაც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ჩნდება ადვოკატის ინტერესიც, ეს ასახვას ჰპოვებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატის ობიექტურობასა და მისი დამოუკიდებლობის ხარისხზე. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ადვოკატმა ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ქცევის წესებით გათვალისწინებული დამოუკიდებლობის პრინციპი (იხ. ეთიკის კომისიის რეკომენდაცია #009/18).

6.15 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ 2000 ლარი გადასცა ადვოკატს სესხის სახით წარმომადგენლობის პროცესში, ადვოკატი განმარტავს, რომ მართალია თავდაპირველად მან ეს თანხა აიღო კლიენტისაგან სესხის სახით, თუმცა მოგვიანებით ა. შ.-მ უთხრა, რომ თანხა შეეძლო დაეტოვებინა და ადვოკატმაც ის საჩუქრად მიიჩნია. მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრა, სესხის ხელშეკრულებასთან გვაქვს ადგილი თუ ჩუქების ხელშეკრულებასთან, არ წარმოადგენს ეთიკის კომისიის განხილვის საგანს. მოცემულ შემთხვევაში, ორივე მხარე აღიარებს, რომ ეს თანხა 2000 ლარი არ წარმოადგენდა ადვოკატის ჰონორარს და არ უკავშირდებოდა კლიენტის საქმის წარმოებას - არ იყო მინდობილი თანხა, რომელიც კლიენტმა გადასცა ადვოკატს. ორივე მხარე თანხმდება, რომ ეს თანხა, წარმომადგენლობის პროცესში, ცალკე, ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან (სესხის ხელშეკრულებიდან, ჩუქებიდან) გამომდინარე გადასცა კლიენტმა ადვოკატს. ამასთან, ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მას 2000 ლარი კლიენტისთვის აქვს დასაბრუნებელი, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით კლიენტმა უთხრა თითქოს ეს თანხა მისცა საჩუქრის სახით და აღარ მოსთხოვდა. შესაბამისად, სახეზეა ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმომადგენლობის პროცესში სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ „წარმომადგენლობის პროცესში ადვოკატის მიერ კლიენტთან სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლამ, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ადვოკატის დამოუკიდებლობის ხარისხზე. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ცალსახა შეზღუდვა არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი არ უნდა შევიდეს კლიენტთან სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში წარმომადგენლობის პერიოდში, ადვოკატმა მაინც უნდა შეიკავოს თავი მსგავსი ქმედებისაგან, რადგან სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისას მაღალია ალბათობა იმისა, რომ მხარეთა ინტერესები გაიყოს, რაც საბოლოო ჯამში ასახვას ჰპოვებს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაზე და

კლიენტის ინტერესების დაცვისას ადვოკატის მიერ ობიექტური და დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაზე. ამ დროს, ასევე შესაძლებელია, დაირღვეს ნდობის ვალდებულებაც, რაც პირდაპირ აისახება ადვოკატ-კლიენტის სამართლებრივ ურთიერთობასა და ადვოკატის რეპუტაციაზე.“ (იხ. ეთიკის კომისიის რეკომენდაცია #009/18). აქედან გამომდინარე, დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე თუ დადასტურდება ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის პროცესში კლიენტისაგან სესხის სახით 2000 ლარის აღება, შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8.1 მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2.1 მუხლი.

6.16 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა მ. გ.-მ დაარღვია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2.1, მე-8.8 და 8.15 მუხლები, რის გამოც დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

6.17 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.18 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც.

6.19 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

6.20 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ “სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის,

შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია."(იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.21 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

6.22 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის ხასიათს, სიმძიმეს, ასევე ფაქტს იმის თაობაზე, რომ ადვოკატი ფიქრია მახარაძე ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა დისციპლინირებული, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ფიქრია მახარაძის მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა იქნება ზედმეტად მკაცრი, შეუსაბამო და არაპროპორციული სახდელი ჩადენილ გადაცდომასთან.

6.23 ეთიკის კომისია ითვალისწინებს ფაქტს, რომ ადვოკატი მ. გ. ვერ მოურიგდა კლიენტს და მიაჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

6.24 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. გ.-ს, ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

6.25 რაც შეეხება საჩივრის ავტორის მოთხოვნას, თანხის დაბრუნების შესახებ, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა სცილდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას. საჩივრის ავტორს განემარტოს, რომ აღნიშნული მოთხოვნით მას უფლება აქვთ მიმართოს სასამართლოს.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 34–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, 35[1] მუხლით, 36-ე მუხლით; ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2.1, მე-8.8 და 8.15 მუხლებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე 030/18 ადვოკატ მ. გ.-ს მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ მ. გ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N32) ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/